პატრიარქ კირილეს მიწვევით მოსკოვში პატრიარქ-კათოლიკოსი გარეგინ II ჩავიდა

2021 წლის 11 ოქტომბერს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს მიწვევით რუსეთში ვიზიტით ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქი და კათოლიკოსი გარეგინ II ჩავიდა.

შერემეტოვოს აეროპორტში მაღალი რანგის სტუმარს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი შეხვდა.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე არქიმანდრიტი ფილარეტი (ბულეკოვი), სსკგ-ს ქრისტიანთაშორისი ურთიერთობების მდივანი მღვდელმონაზონი სტეფანე (იგუმნოვი) და სსკგ-ს თანამშრომელები დ. ე. არაქელიანი და ს. ა. ბეკეშენკო.

ვიზიტის ფარგლებში 12 ოქტომბერს ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქი და კათოლიკოსი გარეგინ II მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს შეხვდება. 13 ოქტომბერს სამმხრივი შეხვედრა გაიმართება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილეს, ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქის და კათოლიკოსის გარეგინ II-სა და შეიხ ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს შორის, რომელიც ყარაბაღის თემის დარეგულირებას მიეძღვნება.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88228/